



ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილეს, არქიმანდრიტ ფილარეტს (ბულეკოვი) 55 წლის იუბილე მიულოცა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.16.2023. 2023 წლის 16 იანვარს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მცირე დარბაზში, საზეიმო მილოცვა გაიმართა სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილის, არქიმანდრიტ ფილარეტის (ბულეკოვი) დაბადების 55 წლისთავთან დაკავშირებით.

განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ მამა ფილარეტს გულითადად მიულოცა ღირსშესანიშნავი თარიღი და შრომაში ღვთის შეწევა უსურვა. „გაქვთ რა მუშაობის ესოდენ მნიშვნელოვანი გამოცდილება საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებაში და მოსკოვის საპატრიარქოს საზღვარგარეთის დაწესებულებებში, თქვენ ბრწყინვალედ გამოიჩინეთ თავი

განყოფილების თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზეც, სადაც მოშურნეობით იღვნით ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში. თქვენი ნაღვანი ყოველთვის ხასიათდება უმაღლესი პროფესიონალიზმით, ღრმა კომპეტენტურობით და არაორდინარული ამოცანების გადაჭრის უნარით, დეტალებისადმი ფხიზელი ყურადღებითა და გააზრებული დამოკიდებულებით. აღიარების განსაკუთრებულ სიტყვებს იმსახურებს თქვენი ადამიანური თვისებები – ყურადღებიანი დამოკიდებულება ხალხთან; კოლეგების, ქვეშევრდომებისა და თანამშრომლების მიმართ გამორჩეულად ღრმა და გულწრფელი პატივისცემა“, – აღნიშნა, კერძოდ, სსკგ-ის თავმჯდომარემ არქიმანდრიტ ფილარეტისადმი მიძღვნილ მილოცვაში.

მეუფე ანტონიმ მამა ფილარეტს ყვავილების თაიგული, **მისალოცი ადრესი** და სამკერდე ჯვარი მიართვა.

საპასუხო სიტყვაში არქიმანდრიტმა ფილარეტმა მეუფე ანტონის თბილი სიტყვებისათვის მადლობა გადაუხადა.

მილოცვაში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მრჩეველმა, დეკანოზმა ნიკოლოზ ბალაშოვმა; სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილემ, დეკანოზმა იგორ იაკიმჩუკმა; სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილემ, დეკანოზმა ნიკოლოზ ლიშჩენიუკმა; ქვეგანყოფილების ხელმძღვანელებმა და სსკგ-ის თანამშრომლებმა.